

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქიფაშ მუჰენდისლიკ ვე თააჰჰუთ ჰიზმეთლერი სან ვე თიჯარეთ
ლიმიტიდ შირქეთი

ს/ნ 404430139

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2021

საქმიანობის შედეგები 31.12.2021

განმარტებითი შენიშვნები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლით დასრულებული
წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების
მომზადებასა და დამტკიცებაზე

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და
საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
შესაბამისად (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ
შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია : საზოგადოება, როგორც უცხოური საწარმოს ფილიალი დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 16 ოქტომბერს

საფირმო სახელწოდება: ქიფაშ მუჰენდისლიკ ვე თააჰჰუთ ჰიზმეთლერი სან ვე თიჯარეთ ლიმიტიდ შირქეთი

სამართლებრივი ფორმა: უცხოური საწარმოს ფილიალი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404430139

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, იმედაშვილის ქ., N25

ფაქტიური მისამართი : საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, იმედაშვილის ქ., N25

საქმიანობის ძირითადი სფერო : ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში ლარი.

ანგარიშგების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2021 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს :

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს
3. 3 ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა
შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული
აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, ბუღალტრული აღრიცხვის
საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის
შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი
დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები. ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება
ელექტრონული ფორმით.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს
სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების,
გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება
გამიჯნულად.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნდება
შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური
აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული
დავალიანების წარმოშობის წლები.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი.
გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან
დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი
წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც
თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების
შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც
კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია
მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი
თვითღირებულებით, რომელიც მოცავს შეძებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან
დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია - უწყვეტი -

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია
„საშუალო შეწონილი“

სხვა აქტივების აღრიცხვა - მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა
გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი
აქტივების შემადგენლობაში

სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების
შემადგენლობაში

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების
საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და
ადმინისტრაციულ ხარჯებს

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და
ექსპუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცულებელ ნივთები და მასალები
(კატრიჯები, დისკები, ეკრანი ს გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და
შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს

მასალები რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის
შემნადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხარე საშუალება მიეკუთვნება
ზედნადებ ხარჯებს

მასალები რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი
საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები
ჩამოიწერება მიმდინარე რემონტის ხარჯებში

ძირითადი საშუალებები-

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით,
რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გადასახადებს ,ტრანსპორტირების ,მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხაჯრებს

- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება)
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებებით .
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით
- საწარმო ძირითადი საშუალებებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან .

არამატერიალური აქტივები

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდბოს ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის
- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით
- საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის შპს ექსპრესსერვისი 2008

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგება მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხებით)

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგებოი ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება.
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღირიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.
- საოპერაციო ხარჯები ცხრილი

კაპიტალი -

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საწარმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით,

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლის შესაბამისად, საწარმოს მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. დასაგებებრი მოგება იბეგრება 15 %-ით.

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

საექვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

COVID 19

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

დირექტორი: არიფ ლევანთ ქუზაი

მთ.ბუღალტერი: ქეთევანი ლექვინაძე



Handwritten signature in blue ink.

ქიფაშ მუჰენდისლიკ ვე თააჰჰუთ ჰიზმეთლერი სან ვე თიჯარეთ ლიმიტიდ შირქეთი

ს/ნ: 404430139

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2021

აქტივები	შენიშვნა	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019	12/31/2018
მიწა	1	-	-	-	-
ძირითადი საშუალებები	1	53148	63871	87135	32,032.00
არამატერიალური აქტივები	1	-	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		53,148.00	63,871.00	87,135.00	32,032.00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	29267	34593	164067	63,029.00
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	461231	63703	122178	-
გადახდილი ავანსები	3	7256	18000	30698	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	2324549	2555178	2053058	471,925.00
სულ მიმდინარე აქტივები		2,822,303.00	2,671,474.00	2,370,001.00	534,954.00
სულ აქტივები		2,875,451.00	2,735,345.00	2,457,136.00	566,986.00
ვალდებულებები					
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	5	4489	14357	59712	448,369.00
სხვა ვალდებულებები	5	0	135379	0	358,006.00
საგადასახადო ვალდებულებები	6	-	-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,489.00	149,736.00	59,712.00	806,375.00
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	7	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	7	2870962	2585609	2397424	- 239,389.00
სულ კაპიტალი		2,870,962.00	2,585,609.00	2,397,424.00	- 239,389.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,875,451.00	2,735,345.00	2,457,136.00	566,986.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signature



ქიფაშ მუჰენდისლიკ ვე თააჰჰუთ ჰიზმეთლერი სან ვე თიჯარეთ ლიმიტიდ შირქეთი

ს/ნ: 404430139

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
შემოსავალი		
1	მომხმარებლისაგან მიღებული ფულადი სახსრები	4,198,338.00
2	ვალუტის კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	37,822.00
	სულ შემოსავალი	4,236,160.00
გასავალი		
1	გადახდილი ხელფასები	1,352,507.00
2	გადახდილი დივიდენდები	830,800.00
3	გადახდილი გადასახადები	895,296.00
5	ბანკის მომსახურების ხარჯი	12,016.00
6	მომწოდებლებზე გადახდილი თანხები და სხვა ხარჯები	1,376,170.00
7	საწედებო კაპიტალის შემცირება	-
	სულ გასავალი	4,466,789.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2,555,178.00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,324,549.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signature



ქივამ მუშენდისლიკ ვე თააჰჰოთ ჰიზმეთლორი სან ვე თიჯარეთ ლიმიტიდ შირქეთი

ს/ნ: 404430139

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ანგარიში	შემოსავალი	2021 წელი	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
			თანხა	თანხა	თანხა
6,110	შემოსავალი რეალიზიციიდან	4,523,410.00	1,889,453.00	6,134,642.00	640,570.00
8,110	არასაოპერაციო შემოსავლები	186,822.00	350,231.00	106,935.00	0.00
	სულ შემოსავალი	4,710,232.00	2,239,684.00	6,241,577.00	640,570.00
	ხარჯები				
7,210	გაყიდული/შემენილი საქონელი	1,265,332.00	833,208.00	1,711,633.00	678,486.00
7,340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	19,752.00	9,435.00	15,072.00	215.00
7,410	შრომის ანაზღაურება	1,704,529.00	1,077,649.00	1,609,250.00	160,162.00
7,413	შრომის უსაფრთხოების ხარჯი	2,400.00	0.00	0.00	0.00
7,416	საპენსიო ხარჯი	8,689.00	4,389.00	8,850.00	0.00
7,420	იჯარა	16,271.00	8,994.00	482.00	0.00
7,423	სამუშაოს ზედნადები ხარჯი	39,419.00	0.00	0.00	0.00
7,424	მცირეფასიანი სამუშაო ინვენტარი	667.00	1,255.00	3,474.00	4,885.00
7,425	საოფისე ინვენტარი	130.00	55.00	117.00	300.00
7,426	სამეურნეო ხარჯი	394.00	100.00	58.00	353.00
7,430	კომუნიკაციის ხარჯები	577.00	590.00	933.00	305.00
7,435	დაზღვევა	6,124.00	10,589.00	12,938.00	3,682.00
7,440	რემონტი	2,169.00	1,589.00	1,224.00	0.00
7,450	საკონსულტაციო ხარჯები	15,600.00	18,000.00	15,300.00	1,899.00
7,455	ცვეთა და ამორტიზაცია	12,674.00	12,178.00	24,497.00	0.00
7,460	საკანცელარიო ხარჯი	191.00	248.00	663.00	467.00
7,490	სხვა საერთო ხარჯი	459.00	3,439.00	171,860.00	16,007.00
7490 1	ბანკის საკომისიო	12,016.00	10,943.00	26,448.00	12,976.00
7490 2	მივლინების ხარჯი	4,370.00	0.00	0.00	0.00
7,414	წარმომადგენლობითი ხარჯი	425.00	76.77	1,965.00	222.00
8,220	არასაოპერაციო ზარალი	283,837.00	58,761.00	0.00	0.00
	სულ ხარჯი	3,396,025.00	2,051,498.77	3,604,764.00	879,959.00
	მოგება	1,314,207.00	188,185.23	2,636,813.00	239,389.00
	მოგების გადასახადი	154,328.00			
	მოგება	1,159,879.00	188,185.23	2,636,813.00	239,389.00
	მოგების განაწილება მესაკუთრეებზე(მათ შორის დივიდენდი)	874,526.00			
	დარჩენილი მოგება	2,870,962.23	2,585,609.23	2,397,424.00	239,389.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signature



ქიფაშ მუკუნდისლიკ ვე თააკჰუთ ჰიზმეთლოერი სან ვე თიჯარეთ ლიმიტიდ შირქეთი
ს/ნ: 404430139

შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

დასახელება	ბალანსი 31 /12/ 2021 წ.	ბალანსი 31 /12/ 2020 წ.	ბალანსი 31 /12/ 2019 წ.	ბალანსი 31 /12/ 2018 წ.
მანქანა დანადგარები	20,762.00	24,282.00	23647	26782
ოფისის აღჭურვილობა	11,130.00	13,019.00	6530	5250
მსუბუქი ავტომობილი	21,256.00	26,570.00	56958	0
სხვა ძირით. საშუალებები		-		
		-		
		-		
	53,148.00	63,871.00	87,135.00	32,032.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signature in blue ink.



ქიჯაშ მუჰენდისლიკ ვე თააკჰუთ ჰიზმეთლერი სან ვე თიჯარეთ ლიმიტიდ შირქეთი

ს/ნ: 404430139

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.	31.12.2018წ.
1	სხვადასხვა საქონელი (ელექტრო-სარემონტო-სამონტაჟო)	29267	34,593.00	164067	63029
		<u>29,267.00</u>	<u>34,593.00</u>	<u>164,067.00</u>	<u>63,029.00</u>

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signature



ქიფაშ მუჰენდისლიკ ვე თააჰჰუთ ჰიზმეთლერი სან ვე თიჯარეთ ლიმიტიდ შირქეთი
ს/ნ: 404430139

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება; გადახდილი ავანსები

#	დასახელება	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.	31.12.2018 წ.
1	მოთხოვნები რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	461231	63,703.00	122,178.00	-
2	გადახდილი ავანსები	7256	18,000.00	30,698.00	-
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	468,487.00	81,703.00	152,876.00	-

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signature in blue ink.



შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2021წ.	31.12.2020წ.	31.12.2019 წ.	31.12.2018 წ.
1	სალარო	61624	11,951.00	5,209.00	7,316.00
2	ბანკი	2262925	2,543,227.00	2,047,849.00	464,609.00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	2,324,549.00	2,555,178.00	2,053,058.00	471,925.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signature



31.12.2021წ.	2,324,549.00
31.12.2020წ.	2,555,178.00
31.12.2019წ.	2,053,058.00
31.12.2018წ.	471,925.00

ქიფაშ მუჰენდისლიკ ვე თააჰჰუთ ჰიზმეთლერი სან ვე თიჯარეთ ლიმიტიდ შირქეთი
ს/ნ: 404430139

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები, სხვა ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.	31.12.2018 წ.
1	სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	4489	14,357.00	59,712.00	448,369.00
2	სხვა ვალდებულებები	0	135,379.00	0.00	358,006.00
	<u>ჯამი</u>	<u>4,489.00</u>	<u>149,736.00</u>	<u>59,712.00</u>	<u>806,375.00</u>

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signature in blue ink.



482	200
30	540
153	7

b/5: 404430139

#	დასახელება	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.	31.12.2018 წ.
1	საგადასახადო ვალდებულება	-	-	-	
	სულ საგადასახადო ვალდებულებები		-		

მთ. ბუღალტერი:

f. m. Aznar

[illegible]

შენიშვნა 7 - კაპიტალი

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	2,585,609.00	-	2,585,609.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	1,314,207.00		1,314,207.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		- 874,526.00	- 874,526.00
	კაპიტალის შემცირება; მოგების გადასახადით		- 154,328.00	- 154,328.00
4	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	3,899,816.00	- 1,028,854.00	2,870,962.00

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	2,397,424.00	-	2,397,424.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	188,185.00	-	188,185.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		-	-
4	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	2,585,609.00	-	2,585,609.00

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	- 239,389.00	-	- 239,389.00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	2,636,813.00		2,636,813.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		-	-
4	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	2,397,424.00	-	2,397,424.00

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	-	-	-
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	- 239,389.00	-	- 239,389.00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა		-	-
4	ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	- 239,389.00	-	- 239,389.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

Handwritten signature

